## HI - CONCEPT

ინტეგრირებული ბიოდაცვის
პროგრამა



# სორკილ ჯი

## მღრღნელების საწინააღმდეგო საშუალება

INTRACO
GEORGIA

ინტრაკო ჯორჯია

WWW.INTRACO.GE

# სორკილ ჯი

## მღრღნელების საწინააღმდეგო საშუალება

დაგვიკავშირდით:
+995 551 43 00 04
+995 595 94 71 47
info@intraco.ge
www.intraco.ge

## ტექნიკური ფურცელი

### პროდუქტის აღწერა:

სორკილ-ჯი მღრღნელების საწინააღმდეგო ეფექტური საშუალებაა. ხორბლის მარცვლები დაფარულია შხამით და ცვილისებრი ნივთიერებით, რომელიც იცავს ტენისგან. გამოიყენება შენობებში, საწყობებში, ფერმებში, სახლებში, მინდვრებში და ა.შ.

### სპეციფიკაციები:

მარცვლოვანი მისატყუარი.
მოქმედი ნივთიერება - დიფენაკოუმი 0.005%

### MSDS:

ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში

### შეფუთვა:

5 კგ-იანი პლასტმასის ყუთები.
100 გრამიანი პლასტმასის ყუთები

### მახასიათებლები:

დიფენაკოუმი მეორე თაობის ანტიკოაგულანტია მძლავრი როდენტიციდული თვისებებით და მაღალ ეფექტურია ვირთხებისა და თაგვების საწინააღმდეგოდ.
პირველი თაობის ანტიკოაგულანტების მიმართ იოლად ვითარდება რეზისტენტობა და მისი ეფექტურობა მნიშვნელოვნად კლებულობს. დიფენაკოუმის შემთხვევაში რეზისტენტობა პრაქტიკულად არ გამოვლენილა.
მისი მცირე დოზაც კი მომაკვდინებელია.
მღრღნელების მკვდარი სხეულები შრება სწრაფად და თითქმის არ ვრცელდება ლეშის სუნი.

ხორბლის მარცვალი როგორც წესი მღრღნელების საუკეთესო მისატყუარია. ის დაფარულია ცვილისებრი ნივთიერებით. მისი გამოყენება შეიძლება როგორც უკიდურესად მშრალ, ასევე უკიდურესად ტენიან პირობებში.

სორკილ ჯი უსაფრთხოა მომუშავე პერსონალისთვის. ადამიანში მოწამვლის ნიშნები ჩნდება მისი დიდი რაოდენობით მიღების შემთხვევაში.

### მოხმარების წესები:

შენობის შიგნით და გარეთ სორკილ ჯის მარცვლები მოაბნიეთ ისეთ ადგილებში სადაც სავარაუდოდ მოძრაობენ თაგვები. მოარიდეთ ბავშვებს, ფრინველებსა და სხვა ცხოველებს. ერთ ადგილას დაყარეთ 50-100 გრამი სორკილ ჯი თაგვების რაოდენობის მიხედვით.

მინდვრის თაგვების საწინააღმდეგოდ საჭიროა მისი განთავსება სოროს მიდამოებში. დოზირება მნიშვნელოვნად განისაზღვრება თაგვების პოპულაციის მიხედვით. საორიენტაციოდ ერთი სოროს გარშემო უნდა მოიბნეს 50-100 გრამი სორკილ ჯი.